



№ 2 (1420) 0163060 1974

• საქართველოს 51-ე ფილი ვალი 20 კბა.

— ამ შენიდანაც აქ მას უჩინაში აკა ეს სახლი უკავ ჩაგაბარეთი?
— უსენი, საფონი, ახალი ტობინადნებია!



— რას გვეცყოდით საზოგადოებრივი ფრანსპორტის მუშაობაზე?
— ფელევიზიდან თუ სარ, აი, ასე გადამიღე სურათი!

თბილისმა ეს-ესაა გაიო-
ვიძა. ჯერ კიდევ ბინდუში-
დია. ფეხით მოსიარულეები
ავტობუსება სწრაფად ჩაყ-
ლაპა და მგზავრებად გადას-
მუშავა. მოქალაქეები, თით-
ქოს რაღაც რიტუალს ასრუ-
ლებენ, მიღია საბილუოთ
კასეტან, აგდებენ შაუ-
რიანს, ხევენ ბილეთს და
შემდეგ მომდურავებივით
სხდებიან ერთმიერის, პი-
რისპირ. თბილ ლოგინს ნა-
ტამალი სიხალისეც არ გა-
მოუტანებია მათვის.

— დილა მშვიდობისა, მუ-
გობრებო, ძვირფასებო, თბი-
ლისელებო! — ჩასძახის მ-
კროფონს მძლოლი, — გი-
სურვებთ ბელნიერ დღეს,
ჩვენი მარშრუტი ნომერი
პირველია, ანუ ტექნიკის
სახლი, დილმის მასივი. ენა-
წყლიანობს მძლოლი, ინ-
ფორმაციის გარეშე არ ტო-
ვებს არც ერთ მნიშვნელო-
ვან პუნქტს.

„ეს აფთიაქია, უკვდავე-
ბის წამალსაც კი იშვიოთ
აქ, მაგრამ ბამბასა და წურ-
ბლებზე ბოდიში!... „ეს კი
საკონდიტო მაღაზია. თუ
ერთხელ მაინც იგემოთ აქა-
ური ნაცხვარი, გათავდა,
მთელ თქვენს ჯამაგირს აქ
დატოვებთ!...“ „აი, უნივერ-
მალი! ჩემი სახელით მიღია
და დახლის ქვემდღან გაუ-
ჩინარს გაგიჩენენ!“

მხიარულება უბილეთოდ
შემოდის ავტობუსის სალო-

ნში. მგზავრთა განწყობილე-
ბის სკალაზე მაღლა იჭევს
სინდიკის დონე. აღამისები
ერთმანეთს ძველი ნაცხო-
ბებივით უღიმან, ადგილს
უთმობენ მოხუცებსა და
მანდილოსნებს, თავაზინო-
ბა ზეიმობს, ოქვენც იზეი-
მეთ, თბილისელებო! დროა
ჩამოხსნათ აბრა წარწერით:

— ეე! — ჩასძახის მიკ-
როფონს მძლოლი, — სად
მიძვრები? ხომ იცი, ვერ და-
მემალები, აქედან ყველა-
ფერს ვხედავ, აიღე ბილეთი!
ავტობუსში ტევა არ არის.
ადგილები უფრო ძლიერებს.
უფრო სწრაფებს და უფრო
მიხერხებულებს დაუკავე-
ბიათ.

— რას გავს ეს! წინ თა-
ვისუფლებაა, უკნიდან გა-
მოიწიეთ! — გუგუნებს რუ-
პორი.

— მერე, რითაა ცუდი თა-
ვისუფლება რომა? — უკ-
ვირს ხანშესულ მამაკაცს.

— ჩასვლისას ბილეთები
მაჩვენეთ! — არ ცხრება
მძლოლი.

— აბა, მოსკოვში თუ იმ-
გზავრებს ვინმე უბილე-
თოდ? — სევდანარევი ამ-
ბობს სათვალიანი მამაკაც.

— ნუთუ დაბალი კულ-
ტურის ბრალია? — კითხ-
ვას სვამი მაღალი მამაკაც.

— რა ვიცი, ფულების
ფანტაზი კი პირველები
ვართ და... — არ ამთავრებს
სათქმელს ლოყებლაჟაუა
და დიდულვაშებიან.

— რატომ გაჩერებებს არ
აცხადებს, ჩემს სამსახურს
უკვე დიდი ხანია გავცდი!
გააჩერე, გააჩერე! — კივის
ძვირფასად ჩაცმული ქალი,
რომელიც სათოფეზე არ გა-
კარებია საბილეთო კასეტს.

იმ დღეს სახალხო კონტ-
როლის საქალაქო კომიტეტი-
მა გამოავლინა სავალალო
ფაქტი: პირველი მარშრუ-
ტით იმგზავრა რვა ათას ექვ-
სას თორმეტმა კაცმა, მათ
შორის ბილეთი შეიძინა მხო-
ლოდ ოთხი ათას შეიდას
ოთხმოცდაცხრა კაცმა.

თვეი არ გამოგვეყოფა.
ვაი, სირცევილ!

350 ცისციძე!

— გადავიქციოთ თბილისი მა-
ლალი კულტურის ქალაქაც!“
თუმცა ჯერ მოითმინეთ, რა-
ღაცან ეს ყველაფერი მომავ-
ლის საქმეა, ჯერჩერობით
კი...



— ბატონი ტურისტისნ! გთხოვთ, ორიოდე
სიტყვით, გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდი-
ლება მიმდინარე იუბილეს შესახებ!..

— დიღი ხანია, ვოცნებობდი კავკასიაში
ჩამოსვლაზე... მომეწონა თქვენი შესანიშნა-
ვი, სტუმარომოყვარე ხალხი. თქვენებური
ცვრიანი მწვადის გემო, ალბათ, საფლავშიაც
თან ჩამყვება!.. არაფერს ვამბობ კახურ ლვი-
ნოზე, გურული წესით შემწვარ კეცის წიწრ-
ლებზე, იმერულ ტყემალსა და მეგრულ სი-
მინდის პიურეზე...


— აა! თქვენ მხედველობაში გაქვთ ლომი.
არა?

— იეს! იეს!.. ლომი და სიულგუხი. შესა-
ნიშნავია, უგემრიელესი!.. მე მინდა, ქებით
მოვიხსხნიო „იმერეთის“, „ინტურისტის“,
„ივერიის“, „სამადლოსა“ და სხვა რესტორ-
ნების მომსახურე პერსონალის შესანიშნავი
მასპინძლობა!.. მე თან მიმაქვს სამშობლოში
ხინკალისა და ელარჯის ჩეცეპტი, რითაც,
ვფიქრობ, ფასდაუდებელ სამსახურს გავუწევ
ჩემი ქვეყნის კულინარიის სპეციალისტებს...


— ეე... რა თქმა უნდა, მაგრამ... მგონა.
ცოტა გადავუხვიერთ... თუ შეიძლება, იუბი-
ლეს გარშემო...

— დიხა... ერთი სიტყვით, შესანიშნავი პო-
ეტი გყოლითა... ბოლიში, რა გვარია?.. ააა.
გამახსენდა, გამახსენდა!.. წუხელ გადავიყით-
ხე მისი ნაწარმოებების, ინგლისური თარგმა-
ნი და დავრწმუნდი, რომ იგი... პოტი ყოფი-
ლა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მანამდე რო-
მანისტი მეგონა. ახლა კი დაგემშვირობებით.
მოგეხსენებათ, ხვალ მივემგზავრები, ამი-
ტომ, მინდა, ვისარგებლო დარჩენილი დრო-
ით და ვეწვიო მცხეთას. მძობენ, იქ შესანიშ-
ნავი რესტორნებიათ. რაო? ჯვარი და სვეტი-
ცხოველიც იქვეა?.. თუ დრო დამრჩა, ვინა-
ხულებ.

— გმადლობთ, ბატონი ტურისტისნ! იმუ-
დია, კვლავაც გვეწვიოთ! გუდ ბაი!



— მამიკო, ჰიტა!..



— რომელმა ჩამიშალეთ წლიური
გეგმა?!

— ი, გამარჯობა შენი. რამდენი
ხანია შენი ნახვა მინდა.

— რა იყო?

— კაცო, ის შენი ცოლის დეი-
დაშვილი რომ არის... ინსტიტუ-
ტი კათედრაზე.

— ჲ...

— იმ დალოცვილიშვილმა, ხომ
მოაწყო შარშან კუკურის დებილი
გოგო იმდენად.

— კი.

— მერე, იმ შესანიშნავმა კაც-
მა, ხომ არ უთხრა შალიკოს კრე-
ტინ ბიჭს უარი და ხომ დასხა უგა-
მოცდოდ ინსტიტუტში, ამდენად...

— კი.

— მერე, ხომ გადმოიყვანა ერ-
თი ქალაქიდან მეორეში და სამი
კურსით წინ დასხა გოდერძის
შტერი ბიჭი, ამდენად...

— კი.

— ჲოდა, იმ დალოცვილმა. მო-
აწყოს ახლა ჩემი ბიჭი ინსტიტუ-
ტში, ამდენად...

— შენ თუ ძმა ხარ, ჭურში ხომ
არ ზიხარ, ის კაცი რამდენი ხანია
ზის იმდენით...

— რამდენით, კაცო?


— 12 წლით.

ჩილეში გრძელდება ბარბაროსული რეპრესიები,
მათ წინაღმდეგ ვინც უმნიშვნელო უკმაყოფილებას
ვამოთქვაშ არსებოლი რეფიმისადმი.

გაზეთებიდან



ნახ. ა. ლომიძეს



— მოგეხმაროთ, სერ?

— არა, ამ გვირთს მე თვითონ ავიგან!

შეტოტი

საეყარო

ძაღლების რესტორანი

ნიუ-იორკში გაიხსნა ფეშენებელური რესტორანი, სადაც უკელაზე ჭირვეული მომხმარებლის გემოვნებასაც ვაითვალისწინებენ: ოთორ ზარვლებსა და მაროკანულ პერანგებში გამოწევილი მიმტანები ერთნაირი თავაზიანობით გთავაზრდენ ბიფშტექსს, ხენდროს ნაუინს, შერაბაზულ კიბოებს, კოქტეილსა და ნერწყვისმომგვრელ დვლებს. ეს არას მთელს ამერიკაში ერთადერთი რესტორანი, რომელიც მილიონერთა ძაღლებს ემსახურება. როგორც მოხდენილად შენიშვნას გაზეთი „შტერნი“, ნიუ-იორკში, სადაც უკელაზე მეტი უმუშევარი და გულისამრევი ქომხმახებია, კიდევ ერთი ატრაქციონი გაიხსნაონ.

ჭ რ ი

— ჩვენს ქალაქში ბინის პრობლემა არ არსებობს! — განაცხადა ინგლისის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მერმა, — ამ ჭორს უბინაოები ავრცელებენ!

არისტოკრატიული ქრონიკიდან

პვირას, ხუთ საათზე, თავის ვილაში ლედი მარფი იხდის დაბადების 18 წლისთავს.

პატივცემული ლედი მარფი 57 წელია, რაც ჩვენს ქალაქში ცხოვრობს.

ქირომანტია ძაღლებისათვის

ინგლისელებმა მისს ბრამლეტმა ახალ ბიჭებსს მიჰყო ხელი — ძაღლების მკათხავი გახდა. იგი ისე ისტატურად მარჩიელობს თათებზე ლექვების ხასიათსა და მომავალზე, რომ მის კართან შეძლებული ძაღლის პატრონების რიგი დგას.

ახირებული დიასახლისი

სარეცხის მანქანების მწარმოებელმა შვედურმა ფირმამ უცნაური ხასიათის საჩივარი მიიღო: ერთ-ერთი დიასახლის საყვედურობდა, მანქანას არასოდეს არაფერი უფუჭდება და, ამის გამო, მეზობლებთან ამ თემაზე საუბრის ბელნიერებას მოკლებული ვარო. ფირმამ გაითვალისწინა დიასახლისის თხოვნა და, საზღაურის გადადევინების შემდეგ მანქანის კონსტრუქციაში შესწორება შეიტანა: ახლა ხარეცხის მანქანა ცვირად ფუჭდება და დიასახლისიც კმაყოფილია.

